ურთიერთგაგების მემორანდუმი თანამშრომლობის შესახებ

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრსა,

ირლანდიის ეროვნული კიბოს კონტროლის პროგრამასა და

კლინიკური ონკოლოგიის საქართველოს საზოგადოებას

შორის

სსიპ - ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს, ირლანდიის ეროვნული კიბოს კონტროლის პროგრამასა და კლინიკური ონკოლოგიის საქართველოს საზოგადოებას (შემდგომში მოხსენებულნი როგორც მხარეები):

გამოთქვამენ რა სურვილს გააფართოონ ორმხრივი ურთიერთობები ჯანმრთელობის დაცვის შესაბამის სფეროებში;

აღიარებენ რა ცოდნისა და ექსპერტიზის გაზიარების მნიშვნელობას მხარეთა შორის ჯანმრთელობის დაცვის სფეროში თანამშრომლობის გზით;

ასევე, მიაჩნით რა განავითარონ პროფესიულიი უნარები და დანერგონ საუკეთესო გამოცდილება;

თანხმდებიან შემდეგზე:

1. მხარეები მზად არიან მემორანდუმის ფარგლებში ითანამშრომლონ და კოორდინაცია გაუწიონ ერთობლივ ძალისხმევას კიბოს კონტროლის, პრევენციის, სკრინინგის, კვლევის, განათლების და ტრენინგის მიმართულებით;

2. მხარეები კომპეტენციის ფარგლებში მხარს დაუჭერენ დიალოგს მემორანდუმით განსაზღვრულ საკითხებზე ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, ასევე, ინფორმაციის გაცვლას და ადვოკატირებას;

3. მხარეები შეიმუშავებენ და გააზიარებენ ერთობლივ საგანმანათლებლო პროგრამებს საუკეთესო გამოცდილებისა და საერთაშორისო/ევროპული სტანდარტების საფუძველზე საქართველოსა და ხელმომწერი მხარეების საკეთილდღეოდ.

4. მხარეები ხელს შეუწყობენ პროფესიონალი კადრების (მათშორის- ჯანდაცვის მენეჯერების) მოძიებას საგანმანათლებლო საქმიანობისათვის, ჯამრთელობის დაცვის სფეროში ქართველი სპეციალისტების პროფესიული დონის ამაღლებისათვის.

5. წინამდებარე მემორანდუმი წარმოადგენს თანამშრომლობის ზოგად ფორმას, კონკრეტული პროექტებისათვის, წინასწარი მოლაპარაკებების შემთხვევაში, მხარეები ცალკე შეთანხმდებიან შესაბამის სამართლებრივ ურთიერთობებზე.

6. მემორანდუმი შედგენილია ქართულ და ინგლისურ ენებზე. ორივე ენაზე შესრულებული ეგზემპლიარები ითვლება ორიგინალად (დედნად) და აქვთ თანაბარი იურიდიული ძალა.

საქართველოს დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის გენ. დირექტორი	ირლანდიის ეროვნული კიბოს კონტროლის პროგრამის დირექტორი	კლინიკური ონკოლოგიის საქართველოს საზოგადოების პრეზიდენტი
პროფ. ამირან გამყრელიძე	დოქტ. ჯერომ კოფი	პროფ. რემა ღვამიჩავა
05/12/ 2015/ თბილისი, საქართველო	05/12/ 2015/ თბილისი, საქართველო	05/12/ 2015/ თბილისი, საქართველო